

ერთის მხრივ, სააქციო საზოგადოება მისო „ქართული კრედიტი“ (შემდგომში გამსესხებელი) წარმოდგენილი გურჯაანის ფილიალის მენეჯერის სახელი გვარი (პირადი № XXXX) (მინდობილობის საფუძველზე, გაცემული dd.mm.yyyy წ. რეესტრის ნომერი: № XXXX) სახით, ხოლო მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი სახელი გვარი, პირადი № XXXX (შემდგომში თავდები), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

თავდები იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სახელი გვარი (შემდგომში მსესხებელი) და სს მისო „ქართულ კრედიტს“ შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულება № XXXX-ის პირობები და გამსესხებლის წინაშე კისრულობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას, რის საფუძველზეც გამსესხებელს უფლება ენიჭება წაუყენოს თავდებს მოთხოვნა მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. თავდები იღებს ვალდებულებას მსესხებლის მიერ № XXXX საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაუხადოს გამსესხებელს № XXXX საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ით გაცემული კრედიტის თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებით.

2.2. თავდებობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თავდები იღებს ვალდებულებას წერილობით შეატყობინოს გამსესხებელს 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული საცხოვრებელი ადგილის მისამართის მოსალოდნელი ცვლილების შესახებ.

2.3. იმ შემთხვევაში თუ, მსესხებელი დაარღვევს № XXXXXX საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, გამსესხებელი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ თავდებს.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, თავდებობა უზრუნველყოფს მსესხებლის მიერ № XXXX საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი შემდეგი ვალდებულებების შესრულებას:

3.1.1. xxxx (თანხა სიტყვიერად) ოდენობის კრედიტის დაბრუნებას № XXXXXX საკრედიტო ხელშეკრულებით მითითებული ვადებითა და წესით;

3.1.2. კრედიტის თანხაზე დარიცხული წლიური xx %-ის გადახდას კრედიტის მთლიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც განისაზღვრება კრედიტის დაფარვის გრაფიკით;

3.1.3. პირგასამტეხლოს გადახდას ფიქსირებული 20 (ოცი) ლარის ოდენობით, ვადაგადაცილების ყოველი ციკლის პირველ დღეს და ვადაგადაცილებული თანხის 0.50% ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

3.2. მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, გამსესხებელი უგზავნის თავდებს წერილობით მოთხოვნას დავალიანების დაფარვის ან მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულების შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება მოთხოვნის დღისათვის თავდების მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა.

4. თავდებობის თანხა

თავდებობის თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს – xxxx (თანხა სიტყვიერად)

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი შეცვლისა და შეწყვეტის წესი

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია მსესხებლის მიერ № XXXXXX საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წერილობით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შედეგად.

5.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება XXXXXX საკრედიტო ხელშეკრულებაში, რომელიც არ ზრდის მსესხებლის ვალდებულებებს, ჩაითვლება მიღებულად კრედიტორისა და თავდების მიერ თავდებობის ხელშეკრულების შეცვლის გარეშე.

5.4. ხელშეკრულების მოქმედება წყდება:

5.4.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

5.4.2. კრედიტორის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომ ხელშეკრულების პირობები შესრულებულია;

5.4.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.5. გამსესხებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს

მსესხებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაუყოვნებლივ და სრულად შესრულება, აგრეთვე, ხელშეკრულების შესრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ან მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში

5.6. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის მოშლა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

6. დამატებითი პირობები

- 6.1.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ № XXXXXX საკრედიტო ხელშეკრულებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
- 6.2.** ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, გადაწყვეტილი იქნება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.
- 6.3.** შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული დავები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ.
- 6.4.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული მისოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად;
- 6.5.** სს მისო ქართული კრედიტი შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.
- 6.6.** თავდები ანიჭებს გამსესხებელს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, თავდების დამატებითი თანხმობის გარეშე გაეცნოს თავდების საკრედიტო ისტორიას სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში თავდების გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნით.
- 6.7.** იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია შედგენილია ელექტრონული დოკუმენტის სახით, მხარეთა მიერ ხელშეკრულება დამოწმებული იქნება ელექტრონული ხელმოწერებით, მისოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სხვა პირის მფლობელობაში არსებული ელექტრონული ხელმოწერების პლატფორმის (შპს „ენჯიტი როქით სოლუმენს“-ის, ს/ნ 405432580, მფლობელობაში არსებული პლატფორმის-www.Signify.ge-ის) საშუალებით/გამოყენებით (შემდგომში „ელექტრონული პლატფორმა“), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე ელექტრონული ხელმოწერების შესაბამისი პლატფორმის მიერ დადგენილი წესებითა და პროცედურით. ელექტრონული დოკუმენტის სახით მომზადებული და გაფორმებული ხელშეკრულება მსესხებელს მიეწოდება ელექტრონულად, მსესხებლის მიერ დაფიქსირებულ მობილურის ნომერზე, SMS გზავნილის სახით. თუ წინამდებარე ხელშეკრულება მომზადებულია დაბეჭდილი დოკუმენტის სახით, მხარეთა მიერ მისი დამოწმება მოხდება პირადი ხელმოწერებით და მომზადდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეცაა წარმოდგენილი და თითო პირი გადაეცემა ყოველ მხარეს.
- 6.8.** მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით მხარეთა შორის მისოს დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის ან/და ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით შესრულებული ნებისმიერი ქმედება (მათ შორის, დოკუმენტების ელექტრონული ხელმოწერა), აგრეთვე ელექტრონული ფორმით შედგენილი დოკუმენტაცია და მხარეთა შორის წარმოებული ელექტრონული კომუნიკაცია ატარებს ოფიციალურ ხასიათს, გააჩნია სათანადო იურიდიული ძალა და უნარი, დაშვებულ იქნას მტკიცებულებად, რომელთა საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია შესაბამისი იურიდიული დაქტების დამტკიცება (მათ შორის, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმების ფაქტის უტყუარობის დადგენა), მათ შორის სასამართლო დავის დროსაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 6.9.** მხარეთა შორის კომუნიკაცია/შეტყობინება ხორციელდება ქართულ ენაზე, წერილობით ან საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით.
- 6.10.** მისოს საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. მის.: თბილისი, სანაპიროს N2.
- 6.11.** გამსესხებელი უფლებამოსილია თავდების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს თავდებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.
- 6.12.** ვალდებულებათა შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით.
- 6.13.** კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები რჩება ძალაში.
- 6.14.** მხარეთა შეთანხმებით, ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას მხარეთა შორის აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი ძალა.
- 6.15.** წინამდებარე ხელშეკრულება ვრცელდება მხარეთა უფლებამონაცვლეზე ან/და სამართალმემკვიდრეზე.
- 6.16.** თავდები თანხმობას გამოხატავს, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად მიიღოს გამსესხებლისაგან პირდაპირი მარკეტინგული ან საინფორმაციო მიზნებით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები.
- 6.17.** მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია გამსესხებლის იურიდიული მისამართი.

6.18. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზეპლარად ქართულ ენაზე. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაფორმებული დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

6.19. თავდები, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების პირობებთან ერთად, დეტალურად გაეცნო, გამსესხებლის ოფისებში საჯაროდ გამოქვეყნებულ სესხის პირობებს და გამსესხებლის ვებ-გვერდზე <https://georgiancredit.ge/generalterms> განთავსებულ მომსახურების ზოგად პირობებს, რაც მოიცავს საკრედიტო ოპერაციების განხორციელების წესს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

7. მხარეები თანხმდებიან, რომ დავალიანებული სესხის მართვა/ამოღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ქართული კრედიტის ცხელი ხაზის ნომერზე (+995 32) 2-500-100.

თითოეული მხარე იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში თითოეული მათგანისთვის გადაცემული პერსონალური მონაცემების მიმართ იქნება მიღებული კანონმდებლობით მოთხოვნილი (მათ შორის, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით) შესაბამისი უსაფრთხოების ზომები. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მომხმარებელი ასევე თანხმობას აცხადებს, რომ სს მისო " ქართულმა კრედიტმა" განახორციელოს, საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ გათვალისწინებული, თავდების პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) დამუშავება (შეგროვება/დამუშავება, შენახვა, დაარქივება) კერძოდ: წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების, შეთავაზების, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით, ასევე მის მიერ მოწოდებული სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული მონაცემები, როგორცაა ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია ოჯახის წევრების (მეუღლის, მშობლების, მათ შორის შვილების შესახებ), საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია.

თქვენ ხელმოწერით ადასტურებთ, რომ თქვენთვის ცნობილია, რომ თქვენი პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხის ფარგლებში, რომელიც ამ ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს XXXXXXX (თანხა სიტყვიერად) მსესხებლის მიერ კრედიტის გადაუხდელობის და მისი უშედეგოდ გაფრთხილების შემთხვევაში, ან/და როცა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა კრედიტორს შეუძლია მოგთხოვოთ ვალდებულების დაფარვა, მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტთ სს მისო „ქართულ კრედიტში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მისო „ქართული კრედიტი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

მხარეთა რეკვიზიტები

გამსესხებელი

სს მისო „ქართული კრედიტი“
206238800
რეგ. მის: ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის I შეს. N8.
ტელ: 2 500 100

ფილიალის მენეჯერი:

სახელი გვარი

თავდები

სახელი გვარი
პ/ნ:
იურ. მისამართი:
ფაქტ. მისამართი:
ტელ:

სახელი გვარი